საქართველოს მთავრობის

დადგენილება №471

2022 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021274) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ^{31} ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{31}) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ასევე მათი მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, აგრეთვე მათ კონტროლს დაქვემდებარებული იურიდიული პირები, რომელთა წილის (აქციების) 50%-ზე მეტის მფლობელი/მესაკუთრეა აღნიშნული უწყებები.“.

2. 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ^{6}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{6}) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საკუთრებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში და მათ დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ყველა სახის შენობა-ნაგებობები;“.

3. XIX^{1} თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საკუთრებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში და მათ დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ყველა სახის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი“.

4. 67^{1} მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 67^{1}. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საკუთრებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში და მათ დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ყველა სახის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი“.

5. 67^{1} მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშენებლობის ნებართვა ამ თავით დადგენილი წესით გაიცემა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საკუთრებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში და მათ დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ყველა სახის შენობა- ნაგებობაზე.“.

6. 67[1] მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის მისაღებად საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები სააგენტოს წარუდგენენ არქიტექტურულ პროექტს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**